ოქმი:ო63. 6322341001
თარიღი:07/12/2022

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 57

ქ. სამტრედია. 6 დეკემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 6 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოსული წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას, რათა საკრებულომ განიხილოს და მიიღოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან

შემოსული წერილობითი მომართვა.

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 6 დეკემბრის N**62-622234023 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' განკარგულების პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

   (მომართვის, N62-622234023 6 /12/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6322340001-63 6/12/2022 წ).**

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი